MOH 4 22 00015824 06/06/2022

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელს ბატონ ბექა ჯაყელს

ასლი: სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსს,

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს

ქალბატონ შორენა ჭილაშვილს

ბატონო ბექა,

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 3 ივნისს შედგა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბატონი ზურაბ აზარაშვილის შეხვედრა, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის შემადგენლობასთან, მიმდინარე საკითხების განხილვის მიზნით.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, 2022 წლის 3 ივნისს გაიმართა საქმიანი ვახშამი რესტორან ,,ვინოტელში“ 12 პერსონაზე, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა - 2 102.40 (ორი ათას ას ორი ლარი და 40 თეთრი) ლარი (სარესტორნო მომსახურება, CPV კოდი: 55300000).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის (წარმომადგენლობითი ხარჯი) შესაბამისად, გთხოვთ, ,,ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და მართვისთვის“ 2022 წლის ასიგნებების ფარგლებში, განახორციელოთ ანგარიშსწორება შპს ,,აიღვინისსახლი“-თან ზემოაღნიშნულ თანხაზე.

დანართის სახით წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტს (ინვოისი).

(დანართი: 1 PDF ფაილი).

პატივისცემით,

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი
გიორგი ენუქიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად